პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოსცემის 38-ე წელი № 148 (10845) | სამშაბათი, 25 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## ლენინგრადი იყო და მუდამ იქნება საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი ბასტიონი!

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი ლენინგრადის 250 წლისთავის დღესასწაულისადმი, დიდი ლენინის ქალაქის ყველა მშრომელთა სახელით მგზნებარე, გულითად სალამს უთვლის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

უდიდესი აღფრთოვანებით და სიხარულით, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი დიდი მადლიერებისა და მადლობის გრძნობით მიიღეს ლენინგრადის მშრომელებმა ჩვენი ქალაქის დაჯილდოება ლენინის ორდენით, 20 მოწინავე მუშის, მშენებლისა და მეცნიერების მუშაკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, ლენინგრადის მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფის დაჯილდოება საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

კარგად გვესმის, რომ ქალაქის საპატიო დაჯილდოება ლენინის ორდენით, ლენინგრადელთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით, ჩვენი ქალაქის 250 წლისთავის იუბილეს დღესასწაული წარმოადგენს პარტიისა და მთავრობის მიერ სამშობლოს წინაშე ლენინგრადის მშრომელთა დამსახურების მაღალი შეფასების გამოხატულებას.

ჩვენი მშობლიური ქალაქი უკვდავი ლენინის სახელს ატარებს. დიდმა ლენინმა პეტერბურგში შექმნა კაპიტალისტური მონობის ბორკილისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ქედმოუხრელი მებრძოლთა გვარდიის პირველი რაზმები. ლენინის ფიქრებმა დარაზმა პიტერის მუშათა კლასი და გადააქცია იგი მძლავრ რევოლუციურ ძალად. აქ იმყოფებოდა რევოლუციის შტაბი, აქედან მთელ მსოფლიოში გაისმა ისტორიული სიტყვები საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებისა, რომლებმაც გვაჩვენეს კაცობრიობის განვითარებაში ახალი ეპოქის დაწყება. აქედან დაიწყო თავისი ძლევამოსილი სვლა მთელ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლებამ, ხალხის ხელისუფლებამ, მშრომელთა ხელისუფლებამ. აქ ყველაფერი დაკავშირებულია ლენინის სახელთან, მისი სახე ჩვენს გულშია!

პიტერის მუშებმა ლენინიზმის დროშა გამოატარეს სამი რევოლუციის ცეცხლში, ყველა განსაცდელში, რომელიც ჩვენს ქალაქს წილად ხვდა, მტრებთან სასტიკ ბრძოლებში ცხადყვეს მამაცობისა და სიმტკიცის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისადმი თავდადებული ერთგულების მაღალი ნიმუშები.

ფიცს ვდებთ კვლავაც დარაზმული რიგებით გავყვეთ ლენინიზმის დროშით ჩვენს მშობლიურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, წმიდად დავიცვათ ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის უკვდავი მოძღვრება, წმიდად შევასრულოთ მისი ანდერძი.

ჩვენი ქალაქის მშრომელთა მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ იცავდნენ იარაღით ხელში ოქტომბრის მონაპოვარს, მამაცურად და მტკიცედ იბრძოდნენ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ აღადგენდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებს, საფუძველს უყრიდნენ საბჭოების ქვეყნის სოციალისტურ ეკონომიკას.

ჩვენ არ დავიიწყებთ იმ დიდ ნდობას, რომელიც პარტიამ აღმოგვიჩინა პირველი ხუთწლედების წლებში, როცა ჩვენს ქალაქს მიანდო უაღრესად პასუხსაგები დავალებანი სრულყოფილი ტექნიკით სოციალისტური მრეწველობისა და ხოფლის მეურნეობის აღჭურვის დარგში. პარტიის ნებით, მისი ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით ლენინგრადი გახდა სოციალისტური ინდუსტრიის ერთ-ერთი მძლავრი არსენალი.

მძიმე განსაცდელი ხვდათ წილად ლენინგრადელებს დიდი სამამულო ომის წლებში. ფაშისტი დამპყრობლები ცდილობდნენ შიმშილით, ბარბაროსული დაბომბვით და არტილერიის დაშენით წამოეჩოქებინათ მისი დამცველები. მაგრამ ისინი კარგად ვერ იცნობდნენ საბჭოთა ადამიანებს! მთელი ჩვენი ქვეყანა აღდგა დიდი ოქტომბრის აკვნის დასაცავად. და ლენინგრადმა გმირულად გაუძლო და გაიმარჯვა!

ომის ცეცხლი ჯერ კიდევ გიზგიზებდა საბჭოთა მიწაწყალზე, მაგრამ პარტიამ და მთავრობამ ლენინგრადელებს დაუსახეს საპატიო ამოცანა — უმოკლეს ვადაში აეღორძინებინათ ლენინგრადი, გადაექციათ იგი ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს ცენტრად, ახალი ტექნიკის ლაბორატორიად. ლენინგრადის მშრომელები ამ ამოცანას შეხვდნენ როგორც საბრძოლო პროგრამას, როგორც წმინდა მოვალეობას ხალხის წინაშე და პირნთლად ასრულებენ მას.

ჩვენ, ლენინგრადელები, ვამაყობთ იმით, რომ სახალხო მეურნეობის აღმავლობის გრანდიოზულ პროგრამაში, რომელიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ, საპატიო და პასუხსაგები როლი ეკისრება ჩვენს ქალაქს. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ლენინგრადის მშრომელებმა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. 1956 წლის გეგმა მრეწველობამ შეასრულა ვადამდე — 17 დეკემბერს, გამოუშვა 2,6-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. მანქანათმშენებლებმა და ხელსაწყოთმშენებლებმა აითვისეს და გამოუშვეს 1956 წელს ასობით ახალი ტიპის დიდი წარმადობის მანქანები, აპარატები და ზუსტი ხელსაწყოები.

მრეწველობის მუშაკები და მეცნიერების მოღვაწეები უდიდეს შემოქმედებითს შრომას ეწევიან ახალი ტექნიკის განვითარებისათვის. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ატომის გიგანტური მანქანის — სინქროფაზოტრონის შექმნაში. ლენინგრადის ქარხანაში შენდება ატომის ყინულმჭრელი. ლენინგრადის მუშებმა და ინჟინრებმა გააკეთეს ტურბინები, გენერატორები ჩვენი ქვეყნის ყველა უდიდესი თბოსადგურისა და ჰიდროელექტროსადგურის. ახლა აქტიურად ემზადებიან ენერგეტიკული მანქანების გამოშვებისათვის, რომელთა სიმძლავრე ორჯერ და სამჯერ აღემატება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — კუიბიშევის ჰესის აგრეგატების სიმძლავრეს.

ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამოცანა — გავაორკეცოთ მეექვსე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება არსებულ საწარმოო ფართობებზე მუშათა რიცხვის გაუდიდებლად ადვილი ამოცანა არ არის. მისი გადაწყვეტა ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს ჩვენგან. სიძნელეები იქნება, მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია! მშობლიური ქალაქის იუბილეს დღეს პირობას ვაძლევთ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს: ჩვენს ვალდებულებებს შევასრულებთ!

ამჟამად ლენინგრადის ყველა საწარმოში გაჩაღებულია დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ჩვენ მოხარულნი ვართ მოვახსენოთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ლენინგრადელები ვალდებულებას კისრულობენ 1957 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულონ ყველა სახეობის პროდუქციის გამოშვების წლიური პროგრამა.

დღითიდღე უფრო მშვენდება ჩვენი ლამაზი ქალაქი, უმჯობესდება ლენინგრადელთა ცხოვრება. შენდება საცხოვრებელი სახლების ახალი კორპუსები, საავადმყოფოები და სასადილოები, კინოთეატრები, საბავშვო ბაღები და ბაგები. იქ, სადაც დაუსახლებელი ადგილები და საქარხნო გარეუბნები იყო, გაყვანილია ფართო ქუჩები და პროსპექტები, განმდა მრავალსართულიან შენობათა კორპუსები ავტოვოში, ოხტაში, მოსკოვის უბანთან, პეტროგრადისა და ვიბორგის მხარეებზე.

მშობლიური ქალაქის იუბილეს ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენ მარტო წარმატებათა შედეგებს როდი ვაჯამებთ. ჩვენ გვახსოვს უკვდავი ლენინის მითითება, რომ ახეთ დღეებში უწინარეს ყოვლისა გადაუჭრელ საკითხებს უნდა მივაპყროთ მთავარი ყურადღება. ჩვენ კიდევ გვაქვს ჩამორჩენილი საწარმოები, საკმარისად არ არის გამოყენებული წარმოების რეზერვები, გვაქვს კიდევ ფაბრიკები და ქარხნები, სადაც სუსტად ვრცელდება ნოვატორთა გამოცდილება. ჩვენ ვიცით ეს ნაკლოვანებანი და ვსპობთ მათ. ლენინგრადის ეკონომიურ რაიონში სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა მრეწველობასა და სამშენებლო ორგანიზაციებს შემდგომი ზრდისა და განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს უსახავს. ჩვენ მთლიანად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობებს და მივაღწევთ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას. ლენინის ქალაქის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები პირობას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ლენინგრადელებისათვის დაკისრებულ ამოცანებს, შეუპოვრად და მტკიცედ იბრძოლებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ლენინგრადის მშრომელები სახელოვანი იუბილეს დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, სულით და გულით არიან ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან — საბჭოთა ხალხის ნაცად ბელადთან მის გმირულ ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესიის მონაწილენი უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ლენინგრადის 250 წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ლენინგრადელებს ყოველთვის მაღლა ეჭირებათ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, წმიდად დაიცავენ და გაამრავლებენ მუშათა კლასის სახელოვან რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, შეასრულებენ ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძს. ლენინგრადი იყო და მუდამ იქნება სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრი ბასტიონი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

**მიღებულია ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესიაზე.**

1957 წლის 22 ივნისი.

# ზეიმი ლენინგრადში

ლენინგრადი, 22 ივნისი. (საკუთარი). სადღესასწაულოდ, ზეიმით აღნიშნავენ ლენინგრადელები მშობლიური ქალაქის 250 წლისთავს. პროსპექტები, მოედნები, სანაპიროები ლამაზად არის მორთული. ლენინის ქალაქის მშრომელთა უდიდესი სიხარული გამოიწვია დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებმა ლენინის ორდენით ლენინგრადის დაჯილდოების შესახებ, იმის შესახებ, რომ ოც ლენინგრადელს — მოწინავე მუშებს, მშენებლებსა და მეცნიერების მუშაკებს — მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

საღამოს ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო საიუბილეო სესია, მიძღვნილი ლენინგრადის 250 წლისთავისადმი. დარბაზში შეიკრიბნენ საქალაქო საბჭოს დეპუტატები, აგრეთვე სტუმრები — უცხოეთის დელეგაციები და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის ქალაქების წარმომადგენლები, რომლებიც ლენინგრადში დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

საიუბილეო სესიას ხსნის ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი. საზეიმოდ ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. დამსწრენი ერთსულოვნად ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

მოხსენება ლენინგრადის 250 წლისთავის შესახებ გააკეთა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. სმირნოვმა. მომხსენებელი ლაპარაკობს რუსეთის დიდი ქალაქის ისტორიაზე, რომელიც მეცნიერების, კულტურისა და შრომის უდიდესი ცენტრი გახდა. ნ. ი. სმირნოვი ლაპარაკობს იმ ქალაქის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლენინის ორდენით ლენინგრადის დაჯილდოების შესახებ.

სცენაზე გამოაქვთ ლენინგრადის დროშა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი გადასცემს ლენინის ორდენს. მაღალ ჯილდოს იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. რ. კოზლოვი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ა. ა. ანდრეევმა, რომელსაც სესიის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მან მხურვალედ მიულოცა ლენინგრადელებს მაღალი და დამსახურებული ჯილდო, უსურვა შემდგომი წარმატებანი კომუნიზმის აშენების საყოველთაო-სახალხო საქმისათვის ბრძოლაში.

ლენინგრადის იუბილე, თქვა ამხ. ანდრეევმა, მარტო ლენინგრადელთა დღესასწაული როდია. ეს არის მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა პროგრესული ადამიანის დღესასწაული. სამი რევოლუციის ქალაქის, დიდი ოქტომბრის აკვნის იუბილეს სიხარულით აღნიშნავენ არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ ყველა უცხოელი მეგობარიც, ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ოქტომბრის მონაპოვარი.

საბჭოთა ხალხისათვის ლენინგრადი ძვირფასია თავისი ისტორიული რევოლუციური ტრადიციებით. და განსაკუთრებით ძვირფასია იმიტომ, რომ აქ ყველაფერი მოგვაგონებს ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და გმირულ რევოლუციურ მოღვაწეობას.

პეტერბურგში დაიწყო 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუცია. აქ 1917 წლის თებერვალში შეიმუსრა ცარიზმი. აქედან ლეგენდარული „ავრორის“ ზალპმა 1917 წლის ოქტომბრის ღირსშესანიშნავ დღეებში გვამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

სმოლნიდან მთელ მსოფლიოში გაისმა ლენინის უკვდავი სიტყვები ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაზე.

აქ შეიქმნა საბჭოთა მთავრობა დიდი ლენინის მეთაურობით, ურღვევი საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლებას და გამოცხადდა ისტორიული დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

ლენინგრადელები, — აღნიშნა შემდეგ ამხ. ანდრეევმა, — მუდამ იყვნენ სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში და შრომის შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებდნენ.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ლენინგრადის გმირობას დიდი სამამულო ომის წლებში.

ლენინგრადში მუშაობენ უდიდესი საწარმოები, რომლებიც უშვებენ მაღალი ხარისხის პროდუქციას, აქ არის მეცნიერ უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო ინსტიტუტი და კულტურული დაწესებულება.

წელს, განაგრძო ორატორმა, ლენინგრადელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისა და მშობლიური ქალაქის იუბილეს აღსანიშნავად და მოიპოვეს ახალი საწარმოო გამარჯვება, ლენინგრადის იუბილეს დღისათვის ვადამდე შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ამხ. ანდრეევმა თავისი სიტყვის დასასრულს ლენინგრადელებს მიმართა და თქვა:

— ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ წმიდად დაიცავთ და გაამრავლებთ თქვენი ქალაქის სახელოვან რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, მუდამ იქნებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამხ. ანდრეევი აქვეყნებს ლენინის ქალაქის მშრომელებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტს.

სესიაზე სიტყვები წარმოთქვეს ლენინგრადის ლითონის ქარხნის მღარავმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ბოროდულინმა, აკადემიკოსმა კოსტენკომ, ლენინგრადის ეფანოვის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა მარკოვამ, აგრეთვე უცხოეთის დედაქალაქების წარმომადგენლებმა, რომლებიც საიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების წარმომადგენლებმა.

ლენინგრადი, 23 ივნისი. (საკუთარი). დილიდანვე ათიათასობით ლენინგრადელი გამოვიდა ქუჩებში, პროსპექტებზე, მოედნებზე. ყველგან სადღესასწაულო გამოცოცხლებაა. ბევრი წავიდა კიროვის სახელობის სტადიონზე, რათა ენახა თავისი მასშტაბით არაჩვეულებრივი თეატრალიზებული წარმოდგენა, მიძღვნილი სამგზის ორდენოსანი ქალაქის სახელოვანი იუბილესადმი.

სტადიონი გადაიქცა არაჩვეულებრივ თეატრალურ დარბაზად. შუაში აღმართულია ესტრადა. ფარდების ადგილი აქ უკავია ალმებს, რომლებიც კუნთმაგარ სპორტსმენებს უჭირავთ ხელში.

დღესასწაულის დაწყების წინ დამსწრეთ გულთბილად მიულოცა ლენინგრადის სახელოვანი იუბილე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ვ. სპირიდონოვმა.

წიდოვან ბილიკზე გამოჩნდნენ მოტოციკლისტები. ყოველ მანქანაზე ის ძმმე საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული კოსტიუმით გამოწყობილი სპორტსმენი ამ რესპუბლიკის დროშით, გმირი ქალაქების ემბლემებით.

ტრიბუნებზე ფრიალებენ ცისფერი ქსოვილები. გაისმის ფანფარისტთა სიგნალი: „ისმინეთ ყველამ!“ შემდეგ ბრძანება: „აღმართეთ ალამი!“. ფლაგშტოკზე აფრიალდა წითელი დროშა. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ცისფერ ფონზე გაჩნდა უზარმაზარი თეთრი ციფრი „250“. პიონერებს ლენინგრადის სტუმრებს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები. კვლავ გაისმის ფანფარების ხმა. ციფრი „250“ ქრება და გამოჩნდება პეტრე პირველის ვეფხელი. დოლის ხმაზე ესტრადაზე გამოდიან სემიონოვსკისა და პრეობრაჟენსკის პოლკების „ჯარისკაცები“. ცოცხალი ფარდა დაიშალა და მაყურებლების წინაშე წარმოდგა პეტრე I თავისი თანამებრძოლებით. სტადიონზე მყოფნი თითქოს ხედავენ ფინეთის ყურის გაშლილ სივრცეს და აგონდებათ, თუ როგორ იდგა აქ ოდესღაც ქალაქის დამაარსებელი.

მაყურებელთა წინაშე ისახება ეპიზოდები ქალაქის ცხოვრებიდან. ცისფერ ფონზე ერთმანეთს ცვლიან ციფრები: „XVIII“, „XIX“, „XX“. ნელა გამოჩნდა ორთავიანი არწივის აჩრდილი, იგი წაიშალა ორი წითელი ხაზით. მაყურებელთა წინაშე თითქოს აღდგა 1917 წლის ლეგენდარული ამბები პეტერბურგში, აღდგა დიდი ლენინის სახე ჯავშნიან ავტომობილზე, მისი სიტყვები: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

შემდეგ გაისმის მუსიკა სიმღერისა „წმიდა ომი“. ესტრადის ცენტრში გამოჩნდა ცოცხალი მედალი „ლენინგრადის დაცვისთვის“. შეხსიერებაში ისახება ლენინგრადის გმირული დაცვის ეპიზოდები დიდი სამამულო ომის წლებში. ორკესტრი ასრულებს მ. გლინკას ოპერის „ივანე სუსანინის“ ფინალს.

მინდორში გამორბის პიონერი ბუკით ხელში. გაისმის მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კოსტიუმებით გამოწყობილი 1.320 ქალიშვილი და ჭაბუკი ასრულებს მეგობრობის მხიარულ ფერხულს. დაამთავრეს რა თავიანთი გამოსვლა, მათ ააფრინეს ასობით მტრედი.

ფერხული შეცვალეს სამხედრო მუზეუურებმა. სწრაფი გადაჯგუფებით ისინი ქმნიან სიტყვებს: „250 წელი“, რომლის ცენტრში ჩნდება საადმიროლოს შპილი და ლენინის ორდენი. შემდეგ კვლავ გადააჯგუფეს რიგები და მინდორში ჯერ გამოჩნდა ცოცხალი ხუთქმიანი ვარსკვლავი, ხოლო შემდეგ ასობები „სკკპ“.

მეზღვაურები შეცვალეს ნორჩმა ფიზკულტურელებმა — ლენინგრადელმა მოსწავლეებმა.

მრავალი მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სხვადასხვა სასპორტო საზოგადოების მძლეოსნების, მოტოციკლისტების, ცხენოსნების, ტანმოვარჯიშეების გამოსვლებს.

* * *

დღესასწაული იგრძნობოდა ყველგან. სახალხო სეირნობა გაიმართა სხვადასხვა რაიონის მოედნებზე, პარკებსა და ბაღებში.

შუადღისას ნევაზე, პირველად 20 წლის შემდეგ, გაისმა ზარბაზნის სროლა. ეს იყო პეტრეპავლეს ციხის მარიშკინის ბასტიონზე დადგმული ზარბაზანი, რაც აღადგენდა საზღვაო ქალაქის ძველ ტრადიციას.

დღის ბოლოს 22 საათზე გაისმა საარტილერიო სალუტის ზალპი — სამშობლოს სალუტისა სახელოვანი იუბილარის პატივსაცემად.

## საფუძველი ჩაეყარა ლენინგრადის დამცველთა მონუმენტს

ლენინგრადი, 23 ივნისი. (საკუთარი). ათასობით ლენინგრადელი შეეკრიბა დღეს ქალაქის [illegible] ში, [illegible]. აქ გზების გასაყარზე, რომელთაგან ერთი მოსკოვისაკენ მიდის, ხოლო მეორე — კიევისაკენ, საფუძველი ჩაეყარა დიდი სამამულო ომის წლებში ლენინგრადის გმირი დამცველების მონუმენტ-ძეგლს. შუადღისას წითელი ტილოებით მორთულ ტრიბუნაზე ადიან ლენინგრადის მშრომელების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიტინგს ხსნის ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი. ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

სიტყვა ეძლევა კიროვის — პუტილოვის ქარხნის ძველ მუშას ნ. ვ. კუკუშკინს. იგი ამბობს:

— დღევანდელ საზეიმო დღეს, როცა ლენინგრადის 250 წლისთავი აღინიშნება, ფიქრით მივმართავთ ჩვენი ქალაქის გმირ დამცველებს, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში მკერდით იცავდნენ მტრისაგან მშობლიურ ლენინგრადს. დაე ძეგლი, რომელსაც ახლა ვუყრით საფუძველს, მუდამ იდგეს აქ როგორც ლენინგრადელთა შესანიშნავი მამაცობის სიმბოლო.

ტრიბუნაზეა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი მ. ა. პარსეგოვი. იგი ლაპარაკობს ლენინგრადის ფრონტის მეომართა, ქალაქის მშრომელთა გმირობაზე, რომლებიც არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში იბრძოდნენ ლენინგრადის კედლებთან და დაიცვეს იგი.

— ჩვენ ვამაყობთ და გვიხარია, რომ დიდი დღესასწაული — ჩვენი მშვენიერი ლენინგრადის 250 წლისთავი — საყოველთაო-სახალხო დღესასწაული გახდა, — ამბობს ქარხანა „ელექტროსილას“ მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ს. ერემეევი. — ძეგლის აგებას ამ ადგილზე ჩვენთვის, მოსკოვის რაიონის მცხოვრებლებისათვის, იმათთვის, ვინც გამოიარა ბლოკადის მძიმე დღეები, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ლენინგრადის ახალგაზრდობის სახელით გამოდის საკავშირო ალკკ მოსკოვის რაიკომის მდივანი რ. ს. მილონოვი. იგი ამბობს, რომ ლენინგრადელი ახალგაზრდობა სამუდამოდ შეინახავს თავის გულში ქალაქის სახელოვანი დამცველების სახელებს.

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი. იგი ლაპარაკობს ლენინგრადელთა გმირობაზე, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში თავიანთი ქალაქი დაიცვეს ჰიტლერელთაგან.

— ჩვენ კვლავაც არ დავიშურებთ სიცოცხლეს, რათა დავიცვათ ჩვენი სამშობლო! — ამთავრებს სიტყვას ამხ. სპირიდონოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. რ. კოზლოვი მიდის გრანიტის ქვასთან, რომელზეც ამოკვეთილია სიტყვები: „აქ აიგება ძეგლი 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ლენინგრადთან გამარჯვების აღსანიშნავად. საფუძველი ჩაეყარა ლენინგრადის 250 წლისთავის დღეს“.

ამხანაგი კოზლოვი ქვის საფუძველქვეშ დებს ბრინჯაოს პატარა დოფას, რომელზეც ამოჭრილია წარწერა, რომ აქ დიდი სამამულო ომის წლებში ლენინგრადთან გამარჯვების აღსანიშნავად საფუძველი ეყრება ამ ძეგლს. ყღერს პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მელოდია. პიონერები ქვას ამკობენ ცოცხალი ყვავილებით. სასაფუძვლო ქვის ახლოს საზეიმო მარშით მიდიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები.

## გაიხსნა ხიდი თვალთხევზე



ხევებს დაუსერავს კახეთის ლანდშაფტი. ზაფხულობით ხევების მშრალი, ქვა-ღორღით სავსე კალაპოტები წყნარად, უენბლად გამოიყურება. მხოლოდ აქა-იქ ყონავს რიყისქვეშ მიმალული წყალი. მაგრამ უნდა ნახოთ ისინი გაზაფხულზე, როცა მთებში თოვლი დნება, როცა უთვალავი ღელეები და ნაკადულები შეერთდებიან, ხევების გაშლილ ნაპირებს წყლით აავსებენ, ტალღები ზარითა და ზათქით მოარღვევენ მიდამოს; ან შემოდგომის ავდარში, წყალდიდობის დროს, როცა გზები იკეტება, ერთმანეთს მოსწყდება სოფლები. ენით აუწერელ ბევრ უსიამოვნებას აყენებს ეს ხევები მოსახლეობას.

კიდევ ერთი ასეთი ავი და წყეული ხევი ალაგმეს ამ დღეებში გარეკახელებმა. საგარეჯოს ახლოს, კახეთის მაგისტრალურ გზატეცილზე, რომელიც დედაქალაქ თბილისს ხიდნაღთან, ლაგოდეხთან, თელავთან, წითელწყაროსა და მოძმე აზერბაიჯანთან აკავშირებს და რომელსაც დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, შაბათს, 22 ივნისს, თვალთხევზე ახალი ხიდი გაიხსნა.

ხიდი, რომლის პროექტიც ეკუთვნის ინჟინერ ს. სერგატნიუკს, 66,4 მეტრი სიგრძისაა. სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ მისი მშენებლობა „ფრიადზე“ შეაფასა. ხიდის აგებას ხელმძღვანელობდა გზატეცილების მთავარი სამმართველოს პირველი საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი, ინჟინერი დ. ციხელაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი — ახალგაზრდა ინჟინერი ბ. კახაბერი. ხიდის აგებაში მშენებლებთან ერთად თავიანთი შრომითი წვლილი შეიტანეს საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეებმა.

... ცხელა. ლამაზი, რიკულებიანი ხიდის ორივე მხარე სავსეა ხალხით. დიდი და პატარა გამოსულა ხიდის გახსნაზე. რაიონის მშრომელებთან ერთად აქ არიან სტუმრები თბილისიდან და შიდაკახეთის რაიონებიდან.

ახალი ხიდის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის პარტიის საგარეჯოს რაიკომ

# მართვის ორგანიზაციის ახალ ფორმებზე გადასვლის პირველი ნაბიჯები

## თბილისში იწყებენ ამწეების გამოშვებას

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ უკვე დაიჩინა კვალი თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშაობას. ივნისის პირველი დღეებიდანვე მკვეთრი გაუმჯობესება დაეტყო ამ ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეს, გაუმჯობესდა ცისტერნებისა და კასრების გამოშვება.

მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით იცვლება ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშაობის პროფილი. ამ ქარხნის კოლექტივს ახალი, მეტად პასუხსაგები ამოცანის შესრულება — ამწეების გამოშვება დაეკისრა. ამწე მოწყობილობაზე რესპუბლიკაში, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში, დიდი მოთხოვნილებაა. ბევრგან, განსაკუთრებით თბილისში ინდუსტრიული მეთოდებით ბინათმშენებლობის წარმოება ფერხდება იმის გამო, რომ მსხვილი ბლოკებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოსაყენებლად ამწე მექანიზმები არ ჰყოფნით.

ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ფაცულაია უკვე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის იმ ქარხნებში, სადაც ამწე მექანიზმებს აკეთებენ, გამოჩენილი ოსტატების გამოცდილებისა და დადგენილი ტექნოლოგიის გასაცნობად.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს თბილისური წარმოების სტაციონარული კოშკური ამწეს პირველი საცდელი ეგზემპლარი გამოუშვას მესამე კვარტალში, ხოლო მეოთხე კვარტალიდან შეუდგეს ასეთი ამწეების სერიულ გამოშვებას.



**თბილისი. 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში შეუდგნენ დეტალების დამზადებას პირველი სამთო ტრაქტორებისათვის. სურათზე: ხარატი ვ. ეამკოჩიანი ჩარხავს კარტერს სამთო ტრაქტორისათვის.**

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში

21 ივნისს შედგა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მორიგი, მეორე სხდომა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი აქტუალური, უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმოო საკითხები.

### საჭიროა თადარიგის გამოჩენა ამთავითვე

სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ჩოგოვაძემ სხდომას მოახსენა, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის შედეგად საწარმოებმა უფრო გამართულად იწყეს მუშაობა. ამას მოწმობს ისიც, რომ რესპუბლიკის საწარმოებმა განვლილი ხუთი თვის გეგმა 104,4 პროცენტით შეასრულეს. არის ყველა მონაცემი ვივარაუდოთ, რომ ნახევარი წლის გეგმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნება შესრულებული. ამას დამაჯერებლად გვიჩვენებს საწარმოთა კოლექტივების მიერ ივნისის ორ დეკადაში აღებული ტემპები.

მაგრამ რესპუბლიკაში არიან ჩამორჩენილი საწარმოებიც, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს შეფერხებებს, გეგმებს ვერ ასრულებენ. მაგალითად, კვლავ ჩამორჩა ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, გაუმართავად მუშაობენ თბილისის 26 კომისრისა და ორჯონიკიძის სახელობის, აგრეთვე ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნები, საქენერგოს სისტემა.

სახალხო მეურნეობის საბჭომ საჭიროდ ცნო გადამწყვეტი ღონისძიებების მიღება ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობაში გარდატეხის მოკლე დროში მისაღწევად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემის მუშაობის საკითხს. აღნიშნულ იქნა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში ელექტროენერგიაზე ისეთი მოთხოვნილება არ არის, რომ საჭირო იყოს ყველა ჰიდროსადგურისა და თბოსადგურის სრული დატვირთვით მუშაობა. ამიტომ საქენერგოს ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ რესპუბლიკის მძლავრი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ათვის განკუთვნილ წყალსაცავებში შეუდგნენ წყლის დაგროვებას, ამასთან ამთავითვე გამოიჩინონ თადარიგი, დაგროვონ ქვანახშირის სათანადო მარაგი თბოელექტროსადგურებზე, რათა შემოდგომა-ზამთრის სეზონში ენერგეტიკულ სისტემას შესაძლებლობა ექნეს მთლიანად დააკმაყოფილოს როგორც მოსახლეობის, ისე მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე.

### ეწყობა ტორფის ბრიკეტების წარმოება

დასავლეთ საქართველოში, კოლხიდის ველზე, არის ტორფის, ამ საუკეთესო საწვავი მასალის, მდიდარი საბადო. გადაწყდა ამ საბადოს დამუშავების დაწყება, ტორფის მოპოვებისა და მისგან საწვავი ბრიკეტების გამოშვების მოწესრიგება. ამისათვის თავდაპირველად აგებულ იქნება ტორფის დამბრიკეტებელი საცდელი ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ ათას ტონა ტორფის ბრიკეტს გამოუშვებს. საცდელი ქარხნის აგება გათვალისწინებულია ისეთი ვარაუდით, რომ შემდგომში შესაძლებელი იქნეს მისი გაფართოება, ტორფის საწვავი ბრიკეტების დიდი რაოდენობით გამოშვება.

სახალხო მეურნეობის საბჭომ ამ საკითხის უმოკლეს ვადაში მოწესრიგება დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნია, ვინაიდან ტორფის ბრიკეტებით შეიძლება შუა შევცვალოთ (ერთი ტონა ტორფის ბრიკეტი უდრის 4 კუბმეტრ მაგარი ჯიშის შეშას). ამავე დროს ტორფის ბრიკეტი მოსახმარად უფრო ხელსაყრელი და მოხერხებულია, ვიდრე შეშა, თანაც უფრო იაფია.

საბჭომ დაავალა ქვანახშირის, სამთამადნო და ნავთობის მრეწველობის სამმართველოს დაუყოვნებლივ შეუდგეს სათანადო მუშაობას.




**ხიდნალის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო პურის აღება. პირველ დღეს ალაზნის მტს-ის კომბაინის აგრეგატმა (კომბაინერი ი. გოზალიშვილი, ტრაქტორისტი მ. მამუკელაშვილი, მეშტურვალე ო. გოზალიშვილი) მომკა 18 ჰექტარი ნაცვლად 10 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი ხორბალი. სურათზე: კომბაინის აგრეგატი მოსავლის აღების დროს, წრეში — კომბაინერი ი. გოზალიშვილი.**

ფოტო შ. გოკაძისა.

## აზერბაიჯანელი ფეიქრები ქუთაისში

ქუთაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). აბრეშუმკომბინატის კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმულია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ქ. ნუხის ვ. ი. ლენინის სახელობის აბრეშუმკომბინატის კოლექტივთან.

ამას წინათ აზერბაიჯანელ ფეიქართა დელეგაციამ ნუხის აბრეშუმკომბინატის საქსოვი ფაბრიკის უფროსის ნ. აკპეროვის ხელმძღვანელობით ხუთ დღეს დაჰყო სტუმრად ქუთაისელ ფეიქრებთან. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კომბინატის პარტიულროს მდივანი ე. ხალილოვა, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ქერიმოვა, საქსოვი საამქროს ოსტატი ა. ხალილოვი, მქსოველი ფ. მამედოვა, ძაფის ამომღები ზ. შურადოვა და სხვ.

აზერბაიჯანელ ფეიქართა ჩამოსვლის მიზანი იყო საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება. ორივე კომბინატის კოლექტივებმა გადამეტებით გაანაღდეს მიმდინარე წლის ხუთი თვის საწარმოო დავალება, ნუხელმა ფეიქრებმა 150 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვეს გეგმის გადამეტებით, ხოლო ქუთაისელებმა — 68 ათასი მეტრი.

სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ქუთაისის კომბინატის საწარმოთა საქმიანობას და მეგობრებს გაუზიარეს მუშაობის თავიანთი გამოცდილება.

## თამბაქოს შეჯვეა დაიწყო

ბოლნისი. (საკ. კორ.). რაიონში უკვე დაიწყეს თამბაქოს შერჩევითი შეტეხა. სოფელ აბდალის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში 15 ივნისისათვის შეტეხილი იყო 3.500 ზონარმეტრი თამბაქო. ამ საქმეში წარმატებას მიაღწია მემანდვრეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ს. ისმაილოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურად ტეხავს 200-300 ზონარმეტრ თამბაქოს. თამბაქოს შეტეხა დაიწყეს აგრეთვე ქოშაქილისის მოლოტოვის სახელობის, სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

## ხორბალს ორ ფაზად იღებენ

— მოისმინეთ, სადისპეტჩერო, „კაბლუკ“, „კაბლუკ!“ — გაისმის რეპროდუქტორში.

— გისმენთ, „კაბლუკია“.

— „სტალინეც-6“-ის კომბაინერმა სერგო ჭაბაშვილმა, მეშტურვალემ ავთანდილ სეფიაშვილმა, ტრაქტორისტმა გიორგი ბატიაშვილმა ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეორე მინდორში ერთ დღეს მომკეს 15 ჰექტარი ქერი. ჰექტარზე საშუალოდ გალეწილია 19 ცენტნერი. მოსავლის აღებასთან ერთად დაიწყო ნაწვერალის ხვნა. ტრაქტორისტებმა შალვა ქმუტაშვილმა და სიმონ რაზენკომ დღეს ექვს-ექვსი ჰექტარი მოხნეს. ამავე ფართობზე მეშაობს ტრაქტორისტი მოთა ჭაბაშვილი, რომელიც სიმინდს თესავს, — იტყობინებოდნენ ცოდნისკარელთა მინდვრებიდან რადიო „ურეოკაით“.

ლაგოდეხის მტს-ის რადიოქაელი სადისპეტჩეროს ყოველ საათობით ახალ ცნობებს გადმოსცემს. ამ დღეებში შეატყობინეს, რომ ახალი ულიანოვკის მინდვრებში დაიწყო ხორბლის ორ ფაზად აღება. მექანიზატორები საამისოდ ადრევე ემზადებოდნენ, გულისხმიერად და ოსტატურად მოახდინეს ტრაქტორებისა და კომბაინების რეკონსტრუქცია. პროგრესული წესით პურის მკისათვის ემზადებოდნენ კოლმეურნეებიც.

და აი სადისპეტჩეროს რუკაზე გამოჩნდა წითელი დროშა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრაქტორისტი ვასილ კოხნოვი სპეციალური სამკალი მანქანით პურეულს მკის.

— ხორბალი ცვილისებრ სიმწიფეშია. ამ ხორბლით გამომცხვარი პური უფრო გემრიელი იქნება. ასეთი მეთოდით ხორბლის აღება მოსპობს დანაკარგებს, — განმარტა მტს-ის მთავარმა აგრონომმა სანდრო შავლაყაძემ.

ვასილ კოხნოვმა ერთ დღეს 16 ჰექტარზე გათიბა პურის ყანა, კომბაინერმა ალექსანდრე მაკეევმა მეორე დღესვე დაიწყო მისი აღება. ნათიბ ხორბალში დაეშვა კომბაინის მექანიზებული ამკრები თითები. ისინი ფრთხილად იტაცებენ თავთავებს, სწრაფად გადააქვთ სალეწში და ბუნკერიდან ჩამოსული ხორბლით ივსება ავტომანქანები. ულიანოვკელ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ ამ მეთოდით 150 ჰექტარზე აიღონ ხორბალი. 23 ივნისისათვის უკვე მომკეს 40 ჰექტარი.

— სადისპეტჩერო! „კაბლუკ“, ჩაიწერეთ, ულიანოვკიდან სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად უკვე გაიგზავნა 400 ცენტნერი ხორბალი. ძლიერდება მოსავლის აღების ტემპი.

**გ. ხეჩუაშვილი,**

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## შემდგომი წინსვლის ფართო პერსპექტივა

ამ ბოლო დროს თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში გადავიდა, მკვეთრად გააუმჯობესა მუშაობა და რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩადგა.

სულ ცოტა ხნის წინათ ფოლადთუჯმსხმელებს კოქსი დონბასიდან მოსდიოდათ, ხოლო თუჯი — ნოვოლიპეცკიდან. მომარაგების ბაზებიდან ქარხნის სიშორე იწვევდა შეფერხებებს როგორც კოქსით, ისე თუჯით და სხვა მასალებით მომარაგებაში. მომარაგების შეფერხება კი იწვევდა გაცდენებს, შრომის ნაყოფიერების შემცირებას, არარიტმულ მუშაობას და იერიშობანას. მართალია, წელს საერთოდ ამ ქარხანამ შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა, შეძლო მთელ რიგ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება გეგმების შესასრულებლად, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის მოუწესრიგებლობა ფოლად-თუჯმსხმელებს მაინც დიდად უშლიდა ხელს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების კანონის თანახმად ქარხნის გადაცემამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში უკვე მოგვცა პირველი კარგი ნიშნები.

ორი კვირაა, რაც ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადავიდა და მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს სისტემაში შევიდა. ახლა ქარხანა ძირითად ნედლეულს — კოქსსა და სამსხმელო თუჯს რუსთავიდან მიიღებს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის მოწესრიგება, საწარმოსთან ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოების ზრდისა და გაფართოების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, შემდგომი წინსვლის ფართო პერსპექტივას უქმნის თბილისელ ფოლადთუჯმსხმელებს.

**ზ. ჩილაჩავა.**

*ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის*

# მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი პირობა

ისტორიაში არც ერთ კლასს არ მიუღწევია გამარჯვებისათვის მოკავშირის უყოლად. ვინ უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის მოკავშირე, როგორი უნდა ყოფილიყო ამ კავშირის ფორმები, ეს საკითხები პროლეტარიატის პარტიისაგან იმპერიალიზმის ეპოქაში მოითხოვდა მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს კ. მარქსსა და ფ. ენგელსს, რომლებიც აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში მოღვაწეობდნენ, არ შეეძლოთ შეემუშავებინათ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის კონკრეტული ფორმები, თუმცა მათ ამ საკითხზე მოგვცეს მეტად მნიშვნელოვანი მითითებანი და ჩამოაყალიბეს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის იდეის ძირითადი მონახაზები.

მარქსისა და ენგელსის მითითებები დაამახინჯეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა, რომლებმაც გლეხთა გამოსვლები გამოაცხადეს რეაქციულ მოძრაობად. გლეხობის საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას, მარქსიზმის ღალატს.

მარქსიზმის ისტორიაში პირველად მხოლოდ ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების თავისებურებანი, მათი მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები. მან მოგვცა მეცნიერულად დასაბუთებული მწყობრი მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, რომელიც ხორციელდება სახალხო რევოლუციაში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ლენინმა მოგვცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებში, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პირობებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის კონკრეტული ფორიები.

ლენინმა ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ წამოაყენა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის, როგორც ცარიზმის, მემამულეების, ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მთავარი საშუალების, იდეა. ეს იდეა წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპს კომუნისტური პარტიის მთელ მოღვაწეობაში.

ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით პროლეტარიატი აწარმოებდა ბრძოლას ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ განაპირობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის აუცილებლობა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე გადასვლის საჭიროება.

რამდენადაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია კაპიტალიზმის საფუძველს არ ეხებოდა, რევოლუციის პირველ ეტაპზე შესაძლებელი იყო მთელ გლეხობასთან კავშირი. ამიტომ ბოლშევიკებმა მოგვცეს პირველი ძირითადი სტრატეგიული ლოზუნგი: პროლეტარიატის კავშირი მთელ გლეხობასთან, ბრძოლა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში. ეს იყო ერთადერთი სწორი ლოზუნგი, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, კლასობრივი ბრძოლის ხასიათს, მის თავისებურებას და კლასობრივ ძალთა განლაგებას.

ცარიზმის დამხობისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ეტაპზე გადასვლა მოითხოვდა პარტიის ახალ ორიენტაციას. ლენინის განთქმული აპრილის თეზისებით პარტიამ მიიღო ახალი, ერთადერთი სწორი ორიენტაცია და შეუდგა სოციალისტური რევოლუციის მოსამზადებელ გრანდიოზულ მუშაობას.

იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დაისახა რუსეთის რევოლუციონერთა წინაშე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ეტაპზე, ლენინმა აპრილის თეზისებში ახლებურად დააყენა მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხიც. იგი აღნიშნავდა, რომ რევოლუციის პირველმა ეტაპმა ძალაუფლება ბურჟუაზიას ჩაბარა, მეორე ეტაპი კი ძალაუფლებას პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას გადასცემს. ამის შესაბამისად ბოლშევიკებმა წამოაყენეს ახალი სტრატეგიული ლოზუნგი: პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან, სამუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია, ბრძოლა ქალაქად და სოფლად ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარებისათვის.

კაუცკისა და სხვა ოპორტუნისტების აზრით პროლეტარიატის გამარჯვება მაშინ იყო შესაძლებელი, როცა იგი ერის უმრავლესობად გადაიქცეოდა. ამიტომ მათ ნაადრევად მიაჩნდათ სოციალისტური რევოლუცია რუსეთში და წინასწარმეტყველებდნენ მის დამარცხებას.

ოქტომბრის რევოლუციამ გააბათილა ეს ანტიმარქსისტული შეხედულება და დაამტკიცა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ პროლეტარიატი, მისი უმცირესობის მიუხედავად, შეძლებს თავის ირგვლივ გლეხობის შემოკრებას და საერთოსახალხო მოძრაობის ხელმძღვანელობას.

3. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული თეორია. მან დაამტკიცა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მთავარ საშუალებასა და აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირი.

1905-1907 წლების და 1917 წლის თებერვლის რევოლუციების გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა ბოლშევიკების ის დებულება, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი სახალხო რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობაა. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთ მიზეზს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მტკიცე კავშირის უქონლობა წარმოადგენდა. ხოლო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ მუშათა კლასი ხელმძღვანელობდა გლეხთა მილიონიანი მასების მოძრაობას, მიმართულს ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ.

რუსეთის მეორე რევოლუციამ აგრარული საკითხი ვერ გადაჭრა. მენშევიკურ-ესერული საბჭოები უსუსური აღმოჩნდნენ ამ მხრივ რაიმე ნაბიჯი გადაედგათ წინ. დროებით მთავრობას აგრარული საკითხის მოწესრიგებაზე არც კი უფიქრია. მას არ გამოუცია არც ერთი ეკონომიური დეკრეტი, რომელიც მიმართული იქნებოდა მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, როცა გლეხებმა მოითხოვეს მათთვის დასამუშავებლად გადაეცათ მემამულეთა მიერ მიტოვებული მიწები, დროებითმა მთავრობამ მემამულეთა საკუთრების დასაცავად და გლეხობის დასათრგუნავად ადგილებზე გაგზავნა კომისრები და შეიარაღებული რაზმები.

დროებითი მთავრობის დამხობა შესაძლებელი იყო ექსპლოატირებულთა ერთობლივი მოქმედებით. ამიტომ სოციალისტური რევოლუციის ბედი დაკავშირებული იყო მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის სიმტკიცეზე. ამის შესახებ რსდმპ (ბ) 1917 წლის აპრილის კონფერენციის რეზოლუციებში ნათქვამია: „იმის მიხედვით, შეძლებს თუ არა ქალაქის პროლეტარიატი გაიყოლიოს სოფლის პროლეტარიატი და შეუერთოს მას სოფლის ნახევრადპროლეტარების მასა, თუ ეს მასა გაჰყვება გლეხურ ბურჟუაზიას, რომელიც იქითკენ იხრება, რომ დაუკავშირდეს... კონტრრევოლუციას, ამის მიხედვით გაიკვეცა რუსეთის რევოლუციის ბედი და შედეგი...“.

ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტს არა მარტო იმიტომ, რომ ცარიზმი იყო კაპიტალისტური, კოლონიური და სამხედრო ჩაგვრის კერა, აღებული ყველაზე ბარბაროსულ მის ფორმაში, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო ამ წინააღმდეგობათა დაძლევა რევოლუციური სამუალებებით. ასეთ რეალურ ძალას წარმოადგენდნენ მსოფლიოში ყველაზე თანმიმდევრულად მებრძოლი რუსეთის პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა, მათი რევოლუციური კავშირი.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება ორხელისუფლებიანობის თავისებურ და მეტად რთულ პირობებში შეუძლებელი იყო ისე, თუ არ მოხდებოდა მენშევიკებისა და ესერების იზოლაცია, თუ არ გამოაშკარავდებოდა მათი შემთანხმებლური პოლიტიკა. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რსდმპ (ბ) VI ყრილობამ, რომლის გადაწყვეტილებები საფუძვლად დაედო ბოლშევიკების მთელ მუშაობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში.

სწორი, მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველი პოლიტიკის განხორციელებით ბოლშევიკებმა მოახერხეს ხალხის უმრავლესობა საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნებინათ თავიანთი ლოზუნგების სისწორეში. ბოლშევიკური ტაქტიკის ამ თავისებურებით უნდა აიხსნას ის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში მასები მიდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგების ქვეშ, რომლებიც თვით მასების ლოზუნგებად იქცა. მასებისადმი სწორმა ხელმძღვანელობამ გამოიწვია მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო ფენებში ბოლშევიკური პარტიის გავლენის სწრაფი ზრდა, საბჭოების ბოლშევიზაცია და ესერულ-მენშევიკური გავლენის დაცემა. მხოლოდ ბოლშევიკური პარტია დარჩა მშრომელთა ინტერესების ბოლომდე დამცველი, მხოლოდ ის ხელმძღვანელობდა მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის ბრძოლას სოციალიზმისათვის.

კონტრრევოლუცია შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავდა სამხედრო დიქტატურის, კორნილოვშინის დამყარებაში. მაგრამ კონტრრევოლუციური აჯანყება ჩააქრო მუშათა კლასმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა რევოლუციის სასარგებლოდ. უღარიბესი გლეხობა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ბოლშევიკების იერგვლივ. საუალო გლეხობამაც იწყო შემობრუნება ბოლშევიკებისაკენ.

ბოლშევიკებმა შეძლეს ერთი მიზანსაკენ წარემართათ ისეთი სხვადასხვა სახის რევოლუციური მოძრაობანი, როგორიც იყო: დემოკრატიული მოძრაობა მშვიდობისათვის, ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გლეხობის მოძრაობა მიწისათვის და პროლეტარიატის გმირული ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) მუშათა კლასმა, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, უღარიბის გლეხობასთან რევოლუციურ კავშირში, დაამხო ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. გაიმარჯვა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის

*პრესის მიმოხილვა*

# სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორი

ტყიბულელი მეშახტეები, რომლებიც თავიდანვე ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გაცხოველებით ემზადებიან ამ მსოფლიო-ისტორიული თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მხურვალედ გამოეხმაურნენ რა დონბასელი მეშახტეებისა და რუსთავის მეტალურგების შესანიშნავ ინიციატივას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად შეჯიბრების მოწყობის შესახებ, ტყიბულელები მიმდინარე წელს სერიოზულ წარმატებებს აღწევენ, ყველა შესაძლებლობას იყენებენ და ენერგიას არ ზოგავენ მისათვის, რომ სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი. მაღაროელთა თავდადებული შრომის შედეგად საწარმოო დავალებებს ამჟამად ტრესტის ყველა შახტი წარმატებით ასრულებს. ბევრი უბანი, რომლებიც წლების მანძილზე ჩამორჩებოდა, ახლა მოწინავეთა რიგებში დგას.

მეშახტეთა კოლექტივს გვერდში უდგას და სერიოზულ დახმარებას უწევს გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ (რედაქტორი ამხ. ს. მერკვილაძე).

ამ გაზეთის საქმიანობა განსაკუთრებით ნაყოფიერია სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღებისა და აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლის თანმიმდევრულად და შინაარსიანად გაშუქების საქმეში. მიმდინარე წლის პირველი რიცხვებიდანვე „ტყიბულის მაღაროელი“ საერთო სათაურით „გავიაღოთ შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად“, „უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ახალი შრომითი წარმატებებით შეეხვედეთ ოქტომბრის დიად დღესასწაულს!“ „საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება“ — ყოველ ნომერში ბეჭდავს შინაარსიანად და ცოცხლად ფორმადებულ წერილებს მეშახტეების შრომითი მიღწევების შესახებ, განაზოგადებს მოწინავე მეშახტეთა გამოცდილებას, უჩვენებს, თუ რა გზით აღწევენ ისინი წარმატებებს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებაში. ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის უდიდესი აუზის — დონბასის მეშახტეთა მიმართვის პასუხად გამოქვეყნებულ წერილში ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის პირველი საექსპლოატაციო უბნის მნგრეველი დ. კვერღელაძე ჯერ კიდევ მარტის პირველ რიცხვებში წერდა:

„დონბასელ მეშახტეებსა და ჩვენ გვამოძრავებს უაღრესად კეთილშობილური საერთო მიზანი — სოციალისტურ მრეწველობას მივცეთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი. ამიტომ ბუნებრივია, რომ დონბასელ მეშახტეთა პატრიოტულ მიმართვაში ჩვენ საკუთარი გულისთქმა დავინახეთ. ამან სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობით აღავსო თვითეული ჩვენგანის გული... პირადად მე საკმარისად აღარ მიმაჩნია ის, რაც ჯერ კიდევ ორი დღის წინ დამაკმაყოფილებლად მიმაჩნდა“.

შემდეგ ამავე წერილში ნათქვამია, რომ მნგრეველი კვერღელაძე დონბასელთა მიმართვის პასუხად უკვე აღწევს პირველ სასურველ შედეგებს და რომ დონბასელთა პატრიოტულ თაოსნობას საქმით გამოეხმაურა არა მარტო კვერღელაძე, არამედ ყველა მეშახტე, რომლებიც, წარმატებით იყენებენ რა ქვანახშირის ამოღების ახალ მეთოდებსა და საშუალებებს, დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპებს.

გაზეთი სწორად იქცევა, როცა იგი თითქმის ყოველ ნომერში აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ასრულებენ მეშახტეები საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებას, რა გზით აღწევენ წარმატებას, რა დაბრკოლებები ეღობებათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის ორი საბადოს — ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები წლების მანძილზე ეჯიბრებიან ერთმანეთს. მიმდინარე წელს მათ კვლავ ახალი ძალით განაახლეს სოციალისტური შეჯიბრება. „ტყიბულის მაღაროელი“ ხშირად აქვეყნებს წერილებს ქვანახშირის ამ ორი საბადოს მეშახტეთა შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, აცნობს მკითხველებს ტყვარჩელელ თანამოსაქმეთა შრომითს წარმატებებს, მათს გამოცდილებას.

შემცველ გვერდში საერთო სათაურით „ტყიბულელ და ტყვარჩელელ მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება“, რომელიც „ტყიბულის მაღაროელმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა, დამაჯერებლად, საქმის ცოდნით არის გახსოვადებული ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის კოლექტივის მეშაობის გამოცდილება, მასში კარგად არის ასახული ტყვარჩელელთა ნათელი პერსპექტივა და სურვილები.

„ჩვენ, მეორე შახტის მუშებსა და მოსამსახურეებს, — ლაპარაკობს თავის წერილში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის უფროსი ვ. რევაზიანი, — სიძნელეების გადალახვის პერიოდში დახმარებას გვიწევდა ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის ქვანახშირისათვის ბრძოლის მაგალითი, რომელიც ჩვენთვის ცნობილი გახდა გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციის მიერ ჩვენს საქალაქო გაზეთში გამოქვეყნებული მასალებიდან. გასულ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ტყიბულელებმა გვაჯობეს. ჩვენ გვახარებს ჩვენი თანამოსაქმეების წარმატება, სტიმულს გვაძლევს უკეთესი მუშაობისათვის და სურვილი გვაქვს მიმდინარე წელს რეკანში ავიღოთ. შეჯიბრება გრძელდება, ამხანაგო ტყიბულელებო!“

უეჭველია, ტყვარჩელელ და ტყიბულელ მეშახტეთა მოწონავე გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამოსაქმეთა საწარმოო თანამეგობრობა დიდად დაეხმარება მეშახტეებს თავიანთი კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში.

გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებული რიგითი მეშახტეების — მნგრეველების, გამყვანების, მებიგეების, ზეინკლების, მემანქანეების, ამფეთქებლების და ტბეირთავების წერილებს, რომლებშიც განზოგადებულია ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში დაგროვებული გამოცდილება. ამ წერილებში ნათლად ჩანს სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელობა, მისი დამრახშავი ძალა.

სოციალისტური შეჯიბრების გაშუქების საქმეში „ტყიბულის მაღაროელს“ აქვს ნაკლოვანებებიც. გაზეთი ძალიან უფერულად აშუქებს რაიონის საკოლმეურნეო სოფლების მშრომელთა შეჯიბრების მიმდინარეობას, იშვიათად ბეჭდავს მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახვედრად. აღნიშნული ნაკლოვანება გაზეთმა რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროს.

*„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ*

## „დიდი კომბინაციები პაპარა საწარმოში“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ქ. რუსთავის საავეჯო წარმოებაში მოკალთებული კომბინატორების ბოროტმოქმედება.

როგორც ქ. რუსთავის პროკურორი ამხ. ს. კაჭარავა გვატყობინებს, წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა. რუსთავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი ნინუა სუსტი ხელმძღვანელობისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან. საავეჯო წარმოების ყოფილი მუშაკების გ. კალაძისა და დ. სახურაის სამეს იძიებს პროკურატურა დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

# ლიტერატურა და ხელოვნება

## ორი ახალი ჟურნალი



### „ციხკარი“

გამოვიდა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერლების კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ციხკრის“ პირველი ნომერი.

„ციხკრის“ გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი საჩუქარია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ჟურნალს მიზნად აქვს დასახული თავის ფურცლებზე ფართოდ გამოავლინოს ახალი შემოქმედებითი ძალები, მკითხველებს მიაწოდოს იდეურად გამართული და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებნი საინტერესო და აქტუალურ თემებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის სტატიები, მიმოხილვები.

პირველი ნომერი იხსნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის დიდი ლენინის პორტრეტით, რომელიც შესრულებულია ცნობილი საბჭოთა მხატვრის ნ. უუკოვის მიერ.

„ციხკარში“ დაბეჭდილია მ. ლებანიძის ლექსი „ახალგაზრდობა“, გ. ნატროშვილის მოთხრობა „ზაქროს ბიჭი“, თ. ჭილაძის ლექსი „მაისი“, რ. ბერნსის ლექსები „ჯონ ანდერსონ“, „ქერის მარცვალი ჯონი“, „ვინც უნდა თქვას...“ და სხვ. (თარგმანი ინგლისურიდან თამარ ერისთავისა), ა. სულაკაურის ორი ლექსი „სადამო“ და „სხვა სილამაზით“, ლ. გოთუას მოთხრობა „გრემული ქარვასლიონი“, გ. ლეონიძის ლექსები „ძველი რვეულიდან“ და ს. ჩიქოვანის ლექსები.

განყოფილებაში „ჭაშნიკი“ დაბეჭდილია დამწყები მწერლების გ. რჩეულიშვილისა და გ. გეგეშიძის მოთხრობები, ა. სალუქვაძის ლექსები.

ინტერესით იკითხება ჟურნალის განყოფილებაში „ჩვენი ადამიანები“ მოთავსებული ვ. თორდუას მეტად აქტუალურ თემაზე დაწერილი ნარკვევი „ცხოვრების ერთი ფურცელი“.

„მწერლის არქივიდან“ — ასეა დასათაურებული განყოფილება, სადაც დაბეჭდილია მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ყივილი“.

ჟურნალში ფართო ადგილი აქვს დათმობილი „კრიტიკასა და პუბლიცისტიკას“. გამოქვეყნებულია სტატიები: გ. ახათიანისა „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“, ნ. ჭავჭავაძისა „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო“, თ. კოპლატაძისა და ზ. ჭუმბურიძისა — „რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის“ და სარ. ცაიშვილის „ახალი მასალები და „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი“.

განყოფილებაში „ხელოვნება“ დაბეჭდილია ა. ბაქრაძის წერილი „სცენარისტი და რეჟისორი“.

ჟურნალი აქვეყნებს ი. აბაშიძის სტატიას „ინდოეთის გზებზე“, რომელსაც დართული აქვს მეგობრული შარჟი.

ჟურნალში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სატირასა და იუმორს. ამ მხრივ ჟურადღებას იპყრობს მწერალ თ. გოგოლაძის მეგობრული შარჟები „ნაწყვეტები ქართველ მწერლებიდან“. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია აგრეთვე ჯვეზე დუმბაძისა და ომეგა ალფაიძის იუმორისტული მოთხრობები საერთო სათაურით „ფართოდ დავნერგოთ ტექნიკა ლიტერატურაში“ და ჯ. ლოლუას „ნახატი-ხუმრობა“.

საინტერესოა შ. დემეტრაძის წერილი „სერგეი ესენინი საქართველოში“ და მასალები საფესტივალო მზადების შესახებ, აგრეთვე ბოლო ფურცლებში დაბეჭდილი მრავალფეროვანი მასალები საზღვარგარეთის ცხოვრებიდან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლ. გუდიაშვილის ნახატი „გრემული ქარვასლიონი“, რომელიც დართული აქვს ლ. გოთუას ამავე სახელწოდების მოთხრობას.

ჟურნალ „ციხკრის“ რედაქტორია ვ. ბელაძე. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პასუხისმგებელი მდივანი), კ. კალაძე, გ. ნატროშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

### „ლიტერატურული საქართველო“

ჩამოყალიბებულია მიზანი და ამოცანა, რომელიც უნდა განახორციელოს „ლიტერატურნაია გრუზიამ“.

ჟურნალი იხსნება მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის სოციალისტური რევოლუციის გენიის ვ. ი. ლენინის პორტრეტით, რომელიც შესრულებულია გამოჩენილი საბჭოთა მხატვრის პ. ვასილიევის მიერ და ხ. ბერულავას ლექსით „ლენინს“ (თარგმანი ა. მეჟიროვისა).

პირველ ნომერში დაბეჭდილია შ. დადიანის რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“, რომელიც თარგმნა ნ. ჩხეიძემ.

შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია სულეიმან რუსტამის ლექსი „მაისის ახალი სიმღერა“ (თარგმანი ი. ორატოვსკისა), ი. აბაშიძის ლექსი „დარიალეხსთან“ (თარგმანი ი. ლეონტაესისა), ტ. ტაბიძის „ორპირელი კომკავშირელი კრემლში“ (თარგმანი ო. ივინსკისა), ნ. ტიხონოვის „წუნდის სალამები“, ვაჟა-ფშაველას ლექსები „ჩივილი ხმლისა“ და „მოლოდინი“ (თარგმანი ნ. ზაბოლოცკისა), ა. მირცხულავას ლექსი „ჩანგი და შუბი“ (თარგმანი ე. ევტუშენკოსი), გ. ნატროშვილის მოთხრობა „ორში ისევ გაზაფხულია“ (თარგმანი ა. ჯაფარიძისა), მ. ლებანიძის ლექსი „მამა“ (თარგმანი ე. ევტუშენკოსი), გაფეზის ლექსი „თრთვილი“ (თარგმანი მიხაილოვისა), მ. ლაკირბაის პატარა მოთხრობები (თარგმანი აფხაზურიდან ს. ტრეგუბასი), გ. სალუქვაძის ლექსი „სიმინდის ყანაში“ (თარგმანი ვ. ხაკეევიჩისა), ტ. ბროეკის ლექსი „წეროები“ (თარგმანი გ. ონანიანისა), მაყ. მრევლიშვილის ლექსები „მზის ამოსვლისას“ და „ლექსების წიგნი“ (თარგმანი ი. სნეგოვასი), ხ. სტაცენკოს ლექსები „სალამო...“ და „ახალი სახლი“, მ. ლოხვიცკის მოთხრობა „ზაფხულის დღე“.

განყოფილებაში „დაუვიწყარი წლები“ დაბეჭდილია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ესაიაშვილის სტატია „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკები“.

ჟურნალში წარმოდგენილია ი. დებინსკის ნარკვევი „ქალაქი, ადამიანები, კონფლიქტები“. ლიტერატურული კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია სტატიები ს. ქავთარაძისა „ლეო არაგონი ქართული ლიტერატურის შესახებ“ და გ. ლომიძისა „ლიტერატურის ეროვნული თავისებურების საკითხები“.

საინტერესო წერილებია გამოქვეყნებული განყოფილებაში „დოკუმენტები, წერილები, მოგონებები“. აქ მოთავსებულია „ა. მ. გორკის საუბარი მუშკორებთან, სოფლკორებთან და სამხედრო კორესპონდენტებთან 1928 წლის 27 ივლისს თბილისში“.

ინტერესით იკითხება ეკონომისტის მ. ნეფედოვის წერილი „თბილისის გაზიფიკაცია“.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე ახალი წიგნების მიმოხილვები, მოკლე წერილები სხვადასხვა საინტერესო თემებზე.

მისასალმებელია, რომ „ლიტერატურნაია გრუზიამ“ ბოლო ფურცლები დაუთმო ჟურნალში დაბეჭდილ ნაწარმოებთა ავტორების მოკლე ბიოგრაფიებს.

„ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორია კ. ლორთქიფანიძე. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ე. ანანიაშვილი, მ. ზლატკინი, ა. კუზმიჩევი (რედაქტორის მოადგილე), ა. ქუთელია, ვ. მაჭავარიანი, ე. ფეიგინი, დ. შენგელაია.

## კინო

### „ხელმარჯვე ოსტატი“

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ეკრანზე გამოუშვა მულტიპლიკაციური ფერადი ნახატი ფილმი „ხელმარჯვე ოსტატი“.*)

კინოსურათი მიძღვნილია სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების საკითხებისადმი. ფილმის ავტორებმა ე. წ. „მშრალ“ ტექნიკურ თემაზე მიმზიდველი ნაწარმოები შექმნეს. ფილმის მთავარი გმირი — ლიოთნის კაცუნა, მრავალმხრივ საინტერესო სახეა. იგი არა მარტო თანამედროვე ტექნიკის განსახიერებას წარმოადგენს, არამედ ჩვენი ხვალინდელი დღის, მომავლის ტექნიკასაც გამოხატავს. მისი უნივერსალური რეაქტიული თვითმავალი ყოველ საჭირო შემთხვევაში ხან სწრაფმავალ კატერად გადაიქცევა, ხან თვითმფრინავად და ხან ჰელიკოპტერად. ოსტატი თავისუფლად დაჰქრის წარმტაცი ბუნების წიაღში, ეძებს და პოულობს იმათ, ვისაც ტექნიკა უყვარს, ვინც ცდილობს აითვისოს ტექნიკის ახალი მიღწევები. სწორედ ასეთ ბავშვებს უწევს ოსტატი დახმარებას, აძლევს სასარგებლო რჩევა-დარიგებას. იგი თავს დასტრიალებს მათ, ხარობს და ამაყობს მათი ნახელავით.

ფილმში კარგად არის აღბეჭდილი საქართველოს ბუნების ლამაზი სურათებიც, რაც ოპერატორ ვ. შანიძეს მაღალი პროფესიული ოსტატობით აქვს შესრულებული. კომპოზიტორ მ. დავითაშვილის მუსიკა ორგანულად არის შერწყმული პერსონაჟების მოქმედებასთან, მათ განწყობილებასთან.

იშვიათი მკაფიობით არიან გამოყვანილი შინაური ფრინველები როგორც პლასტიკური გამოსახულების, ისე მოძრაობებისა და ფერების მხრივ. როგორც ცნობილია, ადამიანის პერსონაჟი მულტიპლიკაციურ ფილმში შედარებით უფერული, სიცოცხლეს მოკლებული გამოდის. „ხელმარჯვე ოსტატი“ ამ მხრივაც აღსანიშნავია. მასში მოქმედი ბავშვები — მოტომრბოლი ბიჭუნა, ნორჩი გემთმშენებელი გოგონა და ნორჩი ტექნიკოსი ვაჟა, მიუხედავად მათი გრაფიკული პირობითობისა, მაყურებელს წარმოუდგებიან, როგორც ნამდვილად მოქმედი, ცოცხალი ადამიანები.



 სურათზე: კადრები ფილმიდან „ხელმარჯვე ოსტატი“.

ოსტატმა ნიჭიერ ნორჩ გამომგონებელ ვაჟას სარწყავი მოწყობილობა გააკეთებინა. წყალი უხვად ესხურება დამკვნარ, დაზიანებულ გოგრას, პამიდორს, სიმინდს. მცენარეები წელში იმართებიან და სიამოვნებისაგან „ქართულს“ ცეკვას იწყებენ. მცენარეთა ცეკვა მაყურებლის ნამდვილ აღტაცებას იწვევს, რაც ფილმის დამდგმელების გემოვნებასა და უტყუარ მხატვრულ ალღოზე მეტყველებს.

ოსტატი ეთხოვება ვაჟას და მიფრინავს სხვაგან, რათა ახლა სხვა ბავშვებს დაეხმაროს. ასე მთავრდება ეს პატარა, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ფილმი.

„ხელმარჯვე ოსტატი“ თბილისის კინოსტუდიის ნახატი ფილმების შემოქმედებითი კოლექტივის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

**ს. ზამბახიძე.**

*) სცენარი ნ. ბენაშვილისა, დამდგმელი რეჟისორი ვ. ბახტაძე, ოპერატორი ვ. შანიძე, კომპოზიტორი მ. დავითაშვილი, მხატვრები რ. მახარაძე, ა. ხუსკივაძე, ნ. შალიკაშვილი, ვ. ნასყიდაშვილი, ნ. პოპირცევა, ქ. კოკლამაზაშვილი, ე. მაყაშვილი, ქ. ნადირაძე.

## წერილები რედაქციას

### საჭირდა ქვეყნის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნა

საქართველოს მრეწველობის თითქმის ყველა დარგში ფართოდ არის გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, სრული მასშტაბით არის გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩვენი რესპუბლიკის ქვების მრეწველობის შესახებ.

ორი ათეული წლის წინათ, 1930-1937 წლებში თბილისში არსებობდა ამიერკავკასიის ქვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა ქვების მრეწველობაში მომუშავე მეცნიერული კადრების მომზადებაში, მაგრამ შემდგომ წლებში იმ ინსტიტუტის არსებობა ზედმეტად მიიჩნიეს.

ახლა, როცა ჩვენი საწარმოები უკვე გადავიდნენ მართვის ორგანიზაციის ახალ ფორმებზე, საქართველოში ქვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის არსებობის საჭიროება უკვე მწვავედ იგრძნობა.

ვინ არ იცის, რომ ჩვენში უხვად მოდის საუკეთესო ჯიშის ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეხილეებს შეუძლიათ დიდძალი ასეთი პროდუქტები მიაწოდონ დიდი სამრეწველო ქალაქების მოსახლეობას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ პროდუქტების საგრძნობი ნაწილი მოუვლელობისა და უპატრონობის გამო, რაც ამ საქმეზე მომუშავეთა მოუმზადებლობით არის გამოწვეული, ლპება, იღუპება, თუ სეზონის განმავლობაში არ გასაღდა. როგორც სპეციალისტები ამბობენ არის იმის შესაძლებლობა, რომ ეს ხილი არ გავაფუჭოთ, ამ დარგშიც დავნერგოთ მეცნიერების მიერ შემუშავებული ახალი მეთოდებით მუშაობა. ვინ უნდა დაადგინოს და შეამოწმოს ეს მეთოდები, თუ არა სპეციალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა?

განსაკუთრებით ჩამორჩება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პურის ცხობის და საკონდიტრო წარმოების დარგში. ცნობილია, რომ თბილისში პურის ქარხნებში ისე კარგად ვერ აცხობენ პურს, როგორც ჩვენი სამშობლოს სხვა დიდ ქალაქებში. რატომ? ამ საკითხსაც შესწავლა უნდა. პურის ცხობის ტექნოლოგია გაუმჯობესებას მოითხოვს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს ეს საკითხი.

**ლ. ჭანტურაია.**

### მეჯი მოგვეცით ნახშირით გასახურებელი უთო

უთო საოჯახო მოხმარების ერთ-ერთი აუცილებელი ხელსაწყოა. სამწუხაროდ, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ზოგი დიასახლისი მომარაგებული არა ვართ ამ ხელსაწყოთი. ყოველ შემთხვევაში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აჭარის მაღალმთიანი სოფლების სავაჭრო ქსელში უთოს კაცი ვერ შეიძენს.

იშვიათად მოაქვთ კოოპერაციულ მაღაზიებში ჩვენთვის, დიასახლისებისათვის, ყველაზე ადვილად მოსახმარი — ნახშირით გასახურებელი უთო. წელიწადში რამდენჯერმე, ისიც სულ მცირე რაოდენობით თუ შემოიტანენ უთოებს, ისინი მაშინვე საღდება და მომხმარებელთა დიდი ნაწილი ხელცარიელი რჩება. როცა ვიკითხე, სადაური წარმოების უთოები შემოიტანეთ და გაასაღეთ-მეთქი, დახლის მუშაკმა მითხრა: თბილისში გაკეთებული უთოები გვქონდა, ლამაზი, კარგი უთოები, მაგრამ ერთობ ცოტა მივიღეთო.

რა გახდა, რომ ნახშირის უთოების მასობრივად გამოშვებას ვერ ახერხებენ? საჭიროა მეტი რაოდენობით იქნას გამოშვებული ნახშირის უთო, რომ საშუალება გვქონდეს ყველამ შევიძინოთ იგი და არ დაგვჭირდეს მეზობლების შეწუხება.

**თინათინ კუკულაძე.**
სოფ. ხიხაძირი, ხულოს რაიონი.

### მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის

ლენტეხის არც რაიონულ საავადმყოფო-პოლიკლინიკაში და არც სხვა სამკურნალო დაწესებულებებში არ არის ყელ-ყურისა და თვალის სნეულებათა ექიმები. ამის გამო რაიონის მშრომელები საჭირო შემთხვევებში საექიმო დახმარებისათვის მეზობელი რაიონების ექიმებს მიმართავენ, რისთვისაც ზედმეტ დროსა და სახსრებს ხარჯავენ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს ლენტეხის რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისათვის, რაიონის სამკურნალო დაწესებულებები უზრუნველყოს ყელ-ყურისა და თვალის სნეულებათა სპეციალისტებით.

**გ. მუკბანიანი,**
ლენტეხის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი.

---

ლენინურმა იდეამ. კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რუსეთში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი წარმოადგენდა იმ საზოგადოებრივ ძალას, რომელმაც დაძლია საზოგადოების მომაკვდავი კლასების გაფთრებული წინააღმდეგობა და გზა გაუკაფა საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის შესაბამისობის კანონს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. იმ უაღრესად რთული ამოცანების გადაჭრა, რომლებიც საბჭოთა ხალხის წინაშე იდგა სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე, შესაძლებელი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირით, რაც ამჟამადაც ჩვენი სოციალისტური წყობილების სიმტკიცისა და ძლიერების წყაროა, კომუნიზმის გამარჯვების ურყევი საფუძველია.

გლეხობასთან მუშათა კლასის მჭიდრო კავშირის პირობებში შესაძლებელი გახდა სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, საკოლმეურნეო წყობილების შექმნა და განმტკიცება. მუშათა კლასმა გლეხობის დასახმარებლად 1927-1933 წლებში სოფლად დროებით და მუდმივ სამუშაოზე გაგზავნა მუშათა კლასის 367 ათასი საუკეთესო წარმომადგენელი.

მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში გადაჭრა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის მეტად რთული და საპატიო ამოცანა. კაპიტალიზმი ჩვენში დამარცხებულ იქნა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად.

ამ კავშირმა ბრწყინვალედ გაუძლო სოციალიზმის მშენებლობაში წამოჭრილ არნახულ სიძნელეებსა და სამამულო ომის უდიდეს განსაცდელს. მისი სასიცოცხლო ძალა დაამტკიცა აგრეთვე ომისშემდგომი კომუნისტური მშენებლობის უდიდესმა წარმატებებმა.

სოფლისადმი ქალაქის დახმარებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო უკანასკნელ წლებში. მარტო 1954-1955 წლებში ქალაქიდან სოციალისტურმა სოფლმა მიიღო 404 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 83.000 კომბაინი, 229.000 სატვირთო მანქანა და მრავალი სხვა ტექნიკა. საკოლმეურნეო სოფელში საბუმაოდ გაიგზავნა 120 ათასი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ამას გარდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად რეკომენდებულ იქნა 30 ათასი გამოცდილი კომუნისტი.

ჩვენი პარტია მზრუნველობით ეკიდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს, ეძებს და პოულობს მისი განმტკიცების ახალ ფორმებს. პარტიისა და მთავრობის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი რიგი ეკონომიური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებამ კიდევ უფრო განამტკიცა ეს კავშირი, გააძლიერა საბჭოთა სახელმწიფო.

„კაპიტალიზმი იღუპება, — წერდა ლენინი, — დაღუპვისას მას კიდევ შეუძლია წარმოუდგენელი ტანჯვა მიაყენოს ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს, მაგრამ მისი დაცემის შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. ახალი საზოგადოება, რომელიც დამყარებული იქნება მუშათა და გლეხთა კავშირზე, გარდუვალია. ადრე თუ გვიან... იგი შეიქმნება, და მისთვის, ამ საზოგადოების დამყარებისთვის, ვუწყობთ ჩვენ ხელს მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმების შემუშავებას...“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 199-200).

მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები ჩვენი ქვეყნის მაგალითით თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ, აიღებენ რა ხელში ძალაუფლებას, მშრომელებს შეუძლიათ უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ წარმატებით აშენონ თავიანთი მუშურ-გლეხური სახელმწიფო, რომელიც იცავს ხალხის ფართო მასების ინტერესებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, ფართოდ იყენებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას, დღითიდღე განამტკიცებენ მუშათა და გლეხთა კავშირს, რაც სოციალიზმის მშენებლობაში ახალ-ახალი წარმატებების მოპოვების მთავარი პირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შექმნისა და განმტკიცების საქმეში, ამ გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენება დიდად ეხმარება კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მათს ბრძოლაში დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, არწმუნებს იმაში, რომ ნამდვილი სახალხო რევოლუციის მოხდენა, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღება, სოციალიზმის მშენებლობა შეუძლებელია, თუ არ არის ამ ორი კლასის მტკიცე რევოლუციური კავშირი, ერთობლივი მოქმედება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ფორმების შემუშავება, განვითარება და განმტკიცება კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მოძძე კომპარტიებს არწმუნებს იმაში, რომ სოციალიზმისა და დემოკრატიის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიაღწევენ გლეხთა მრავალმილიონიანი რეზერვის განთავისუფლებას იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემარჯვენე სოციალისტების გავლენისაგან.

ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი გადამწყვეტი ძალა იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში. იგი გადამწყვეტი ძალაა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

**კ. ტოტოჩავა,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## საერთაშორისო მიმოხილვა

ამ დღეებში კვლავ მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა ხალხების ხმა: გზა შეეკრათ ატომურ ომს, დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა! 70 ხალხის წარმომადგენლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე კოლომბოში, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ატომგულის გამოცდის შეწყვეტის მოთხოვნები გადაუდებელი ხასიათისაა. კოლომბოს სესიის მონაწილეებმა ამასთანავე ხალხების ყურადღება მიაპყრეს იმ გარემოებას, რომ ყველა ექსპერიმენტული ატომური აფეთქების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მოითხოვენ მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები, „მათ შორის ერთი დიდი სახელმწიფო, რომელსაც თვითონ აქვს ატომგულის იარაღი“.

ეს დიდი სახელმწიფოა საბჭოთა კავშირი. ჩვენი ქვეყანა უკვე დიდი ხანია ცდილობს, რომ დაიდოს შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ასეთი შეთანხმების მიღწევის გასაადვილებლად სსრ კავშირმა შეიტანა წინადადება, რომ ატომგულის გამოცდის შეწყვეტის საკითხი გამოიყოს განიარაღების საკითხთა საერთო კომპლექსიდან და გადაიჭრას ცალკე და დაუყოვნებლივ. ასეთი შეთანხმების დადება მარტო სსრ კავშირზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, იგი დიდი ხანია რეალობა გახდებოდა. მაგრამ სამწუხაროა, რომ ასეთივე სურვილი არ გამოიჩინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, რომელებსაც ატომგულის იარაღი აქვთ. სწორედ ამით აიხსნება, რომ თანამედროვეობის ყველაზე გადაუდებელი, ყველაზე მწვავე საკითხი დღემდე არ გადაჭრილა. მისი განხილვის მთელი ისტორია წარმოადგენს შავბნელ ჩამოთვლას დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ დაუსრულებელი გაჭიანურებისას, დასავლეთის სახელმწიფოებისა, რომელთა წარმომადგენლები თუმცა სიტყვით აღიარებენ საბჭოთა წინადადებების რეალისტურობასა და კონსტრუქციულ ხასიათს, მაგრამ საქმით ყოველნაირად ცდილობდნენ და ცდილობენ ხელოვნური საბაბები გამოიგონონ შეთანხმების გასაჭიანურებლად.

მაგრამ გაჭიანურების ამ ტაქტიკას, რომლის გამო გერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა, რომელსაც უკვე 3 თვეა სხდომები აქვს ლონდონში, ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადადგა წინ, 14 ივნისს გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა.

ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით მიაღწიოს ატომგულის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, საბჭოთა კავშირმა ქვეკომიტეტში შეიტანა ახალი წინადადებანი, რომელნიც აკარწყლებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს. გაითვალისწინა რა, რომ მათ არა სურთ დადონ შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტის შესახებ, სსრ კავშირმა ახლა წინადადება შეიტანა შეთანხმდნენ იმაზე, რომ დაუყოვნებლივ შეახერონ საცდელი აფეთქებანი თუნდაც ორი-სამი წლის ვადით. ჩვენმა ქვეყანამ ამასთანავე განაცხადა, რომ მზად არის დათანხმდეს დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებაზე და დაწესდეს კონტროლი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი, შეიქმნას ამისათვის საერთაშორისო კომისია და საკონტროლო საგუშაგოები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ტერიტორიაზე და წყნარი ოკეანის რაიონში.

საბჭოთა ამ წინადადებებმა, რომლებიც სპობენ ატომგულის გამოცდის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ შეთანხმების მიღწევის დაბრკოლებებს, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოში. ამ წინადადებებმა ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები დააყენა იმ ოფიციალობის წინაშე, რომ პირდაპირ თქვან, როგორია მათი ნამდვილი პოზიცია ატომური გამოცდის საკითხში. თუ დასავლეთის სახელმწიფოებს ნამდვილად სურთ მხედველობაში მიიღონ კაცობრიობის ნება და ბოლო მოუღონ ატომგულის გამოცდას, მათ უნდა მიიღონ საბჭოთა მარტივი და ნათელი წინადადებანი. წინაღმდეგ შემთხვევაში ისინი საბოლოოდ გამოაშკარავდებიან როგორც მშვიდობის მტრები და ატომური ომის მომხრენი. ითვალისწინებენ რა ამას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების წარმომადგენლები ზოგჯერ კარგ სიტყვებს ამბობენ ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პერსპექტივების თაობაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა პრეს-კონფერენციაზე 19 ივნისს განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებები დამაიმედებელი წინადადებებია და უაღრესად სერიოზული შესწავლის ღირსია. მაგრამ ასეთი განცხადებები მეტისმეტი ოპტიმიზმის საფუძვლად ვერ გამოდგება.

საბჭოთა წინადადებების მიმზიდველი ძალა იმდენად დიდია, მათი არგუმენტაცია იმდენად ძლიერი და უცილობელია, რომ მათი უარყოფა პირდაპირ შეუძლებელია ისე, რომ არ გამოიწვიოს საზოგადოებრიობის აღშფოთება. აქიტომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ახალ ტაქტიკას მიმართავენ: კრიჭაშეკრული აღიარებენ რა საბჭოთა პოზიციის კობსტრუქციულ ხასიათს, ისინი ამავე დროს ეძებენ ახალ საბაბს, რათა ხელი შეუშალონ ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. კერძოდ, კვლავ აყენებენ დებულებას, რომ ატომგულის აფეთქების შეწყვეტა განპირობებულ უნდა იქნას ხლეჩადი მასალების წარმოების შემცირებით ან შეწყვეტით.

ასეთი პირობა, როგორც დამტკიცდა განიარაღების ქვეკომიტეტში დისკუსიის დროს, შეიძლება წამოაყენონ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩაშალონ შეთანხმება ატომგულის გამოცდის აკრძალვის შესახებ. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ხსენებულ პრეს-კონფერენციაზე, თუმცა შენიშვნით, რომ მას თავისი აზრი საბოლოოდ არ მიუჩინია, მაგრამ მაინც აღიარა, რომ შეთანხმება გამოცდის შეწყვეტის შესახებ აუცილებლად როდი უნდა იყოს დაკავშირებული საერთო განიარაღებასთან, კერძოდ, იმასთან, რომ შემცირდეს ხლეჩადი მასალების წარმოება ომის მიზნით. მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკელ მეატომეებს ასეთი განცხადება არ ეჭაშნიკათ. ყოველ შემთხვევაში თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჰეგერტიმ იმავე დღეს გაუკეთა პრეზიდენტის განცხადებას „განმარტება“, რომელიც ამ განცხადებას საწინააღმდეგო აზრს აძლევს. ჰეგერტიმ „დააზუსტა“, რომ პრეზიდენტი არ აპირებს ატომგულის იარაღის გამოცდის შეჩერების შესახებ წინადადებანი გამოჰყოს ხლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტის შესახებ წინადადებათაგან.

ეს ეპიზოდი შუქს ჰფენს ფარულ ბრძოლას, რომელსაც ეწევიან გაშინგტონში, ისევე როგორც დასავლეთის სხვა დედაქალაქებში განიარაღების საკითხთა გარშემო. დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ნაწილს შეგნებული აქვს, თუ რაოდენ არახელსაყრელი და საშიშია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მმართველი წრეებისათვის აშკარად უგულებელყონ ნება საზოგადოებრიობისა, რომელიც რეალურ ნაბიჯებს მოითხოვს ატომგულის გამოცდის შეწყვეტის გზაზე. ამ მოღვაწეთა აზრით, უნდა გამოინახოს რაღაც ახალი მანევრი, რათა თავი დაიღწიონ ატომგულის გამოცდის შეწყვეტას და ამავე დროს არ აიმხედრონ ამომრჩეველთა უფართოესი ფენები. შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთის პრესის ზოგიერთი ორგანო იმის სასარგებლოდ გამოთქვამს აზრს, რომ ატომგულის გამოცდა შეწყდეს, მაგრამ არა ორი-სამი წლით, არამედ 10 თვით.

მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ ესოდენ მცირე ვადას პრაქტიკულად არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ექნებოდა გამაღებული ატომური შეიარაღების ნამდვილი შეჩერებისათვის. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 10 თვე არის სწორედ ის ვადა, რომელიც საჭიროა ატომის აფეთქების მოსამზადებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ეს არის დამთავრდა ატომური იარაღის გამოცდის ახალი სერია.

მაგრამ საჭიროა ითქვას, რომ ზოგიერთი ბორრტი მეატომე, როგორიც არის ამერიკელი ადმირალი რედფორდი, უარყოფს ატომის გამოცდის ათი თვით შეჩერების მანევრსაც კი. ისინი მოუწოდებენ უარყონ საბჭოთა კავშირის ყოველგვარი წინადადება განიარაღების შესახებ და მოითხოვენ გამაღებული შეიარაღების გაძლიერებას. რა თქმა უნდა, ასეთ პოზიციაზე დგანან ამერიკის იმ მონოპოლიების მეთაურები, რომლებიც გამაღებული შეიარაღებით მდიდრდებიან.

საბჭოთა კავშირის წინადადებამ ატომის გამოცდის 2-3 წლით შეჩერებისა და ამისადმი კონტროლის დაწესების შესახებ წინააღმდეგობა გამოაცალა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ წრეებში. ვაშინგტონში შექმნილი ვითარებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ფაქტიც: დალესმა მოითხოვა, რომ ლონდონის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ სენატის წევრები ორივე პარტიისაგან — რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებისაგან. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ იუწყება, რომ უკვე მიღებულია წინასწარი გადაწყვეტილება ლონდონში გაიგზავნოს 6 სენატორი — სამი რესპუბლიკელი და სამი დემოკრატი — მოლაპარაკების სამეთვალყურეოდ.

როგორი იქნება პრაქტიკული შედეგები დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეების ახლანდელი რეაქციისა ჩვენი ქვეყნის ახალ სამშვიდობო ინიციატივაზე, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი ცხადია, რომ ყოველ გარემოებაში ხალხები კი არ შეწყვეტენ, არამედ გაძლიერებენ ბრძოლას განიარაღებისათვის, ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის, მისი გამოცდის დროებითი შეწყვეტისათვის. საბჭოთა კავშირმა ურთიერთმისაღები წინადადებანი შეიტანა ამ საკითხებზე. ახლა სიტყვა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ეკუთვნით.

* * *

ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებამ შეამციროს ჩინეთთან ვაჭრობის შეზღუდვა, რაც გასული თვის ბოლოს მიიღო, ერთგვარი ჯაჭვური რეაქციის მსგავსი რამ გამოიწვია დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის ემბარგოს (აკრძალვის) პოლიტიკა, ზედიზედ იღებენ ინგლისის გადაწყვეტილების ანალოგიურ გადაწყვეტილებებს. ეს უკვე გამოაცხადეს ნორვეგიის, ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, დასავლეთ გერმანიისა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა. როგორც ამ დღეებში ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეზიმ განაცხადა, ავსტრალიის მთავრობა მალე განიხილავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის შეზღუდვის გაუქმების საკითხს. ფრანგული გაზეთი „ეკო“ წერს, რომ გარდუვალია „ჩინკომას“ — ჩინეთთან ვაჭრობის საკითხთა ნატოს საკონსულტაციო კომიტეტის დაშლა.

ბევრი ქვეყნიდან, კერძოდ იაპონიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იტალიიდან, კანადიდან მოდის ცნობები, რომ ძლიერდება ზეგავლენა საქმიანი წრეებისა, რომლებსაც სურთ აიძულონ თავიანთი მთავრობები დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი ჩინეთთან ვაჭრობის გაფართოებისათვის. სავსებით ცხადია, რომ ამერიკის პოლიტიკა ჩინეთის ემბარგოსა და ბლოკადის შესახებ კრახს განიცდის.

ახლა, როცა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებამ ბზარი შეიტანა ემბარგოსა და ბლოკადის ამერიკის პოლიტიკაში, დაიწყო თავისებური შეჯიბრება, თუ ვინ უფრო მალე დაიკავებს ადგილს ჩინეთის ბაზრებზე. აკეოტაციის განწყობილება დაეუფლა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან წრეებსაც. სან-ფრანცისკოს გაზეთ „ქრონიკლის“ ცნობით, სავაჭრო პალატის სამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელმა ბოლსმა შიში გამოთქვა იმის გამო, რომ სხვა ქვეყნები ჩაიგდებენ ხელში ჩინეთთან ვაჭრობას. „ყველა ქვეყანა, — თქვა მან, — ჩინეთში ხსნის სავაჭრო წარმომადგენლობას. თუ ჩვენ როდისმე იქ მოვხვდით, დავინახავთ, რომ იქ უკვე ყველაფერი დაკავებულია“. ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ზეგავლენა მთავრობასა და კონგრესზე ისე ძლიერი გახდა, რომ სენატის საგარეო ვაჭრობის კომისიის თავმჯდომარე მაგნასონი იძულებული გახდა განეცხადებინა: „ვიცი, რომ მთავრობის პოლიტიკა მიმართულია ჩინეთთან ვაჭრობის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები აპირებენ ჩინეთთან ივაჭრონ. ჩვენ არ შეგვიძლია 600-მილიონიანი ხალხი სამუდამოდ ვამყოფოთ ეკონომიურ ფარდას იქით მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოგვწონს მისი მთავრობა“.

ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი ზედფენის წარმომადგენელი იძულებულ გახდა ასეთი განცხადება გაეკეთებინა, საუკეთესოდ მოწმობს ჩინეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკის კრიზისს.

**ი. მაზოარი.**

## კანადის ახალი მთავრობა

**ოტავა, 21 ივნისი.** (საკდესი). დღეს კანადის პრემიერ-მინისტრად ოფიციალურად გამოაცხადეს ჯონ დიფენბეიკერი — ლიდერი პროგრესულ-კონსერვატიული პარტიისა, რომელმაც ყველაზე მეტი ადგილი მიიღო პარლამენტში 10 ივნისის არჩევნებში.

## სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კომისიის მესამე სესია

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც დადებულია სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის 1955 წლის 19 დეკემბერს, მოსკოვში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მესამე სესიამ.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ითვალისწინებს შეაჯამოს კომისიის მეორე სესიის გადწყვეტილებათა შესრულების შედეგები, რომელიც გაიმართა ბელგრადში 1956 წლის ოქტომბერში, განიხილოს თემატიკა, რომლის შესაბამისად განხორციელდება 1957 წელს იუგოსლავიის მხარისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა და მისგან ასეთი დოკუმენტაციის მიღება, სსრ კავშირში იუგოსლავ სპეციალისტთა მიღება და იუგოსლავიაში საბჭოთა სპეციალისტების მივლინება ორივე ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და საწარმოო გამოცდილების გასაცნობად, აგრეთვე განიხილოს მთელი რიგი წინადადებები, რომელთა მიზანია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება.

სესიის მუშაობის პერიოდში იუგოსლავიის დელეგაცია გაეცნობა სსრ კავშირის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

### გურეულ-მონურის მთავრობამ ნდობის საკითხი დააყენა

**პარიზი, 22 ივნისი.** (საკდესი). საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გუშინ დაიწყო კამათი ბურეულ-მონურის მთავრობის საფინანსო კანონპროექტების შესახებ.

ამ კამათს საფრანგეთი შეხვდა ხაზინის კრიზისული მდგომარეობით, რაც ძირითადად გამოიწვია უდიდესმა ხარჯებმა კოლონიური ომის საწარმოებლად ალჟირში და კამალებულმა შეიარაღებამ ნატოს ფარგლებში. როგორც საფრანგეთის ბანკის დირექტორმა ბაუმგარტნერმა განაცხადა, საფრანგეთი ახლა იმ მდგომარეობაშია, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ თუ როგორც „ტრაგიკული“ არა, როგორც „სერიოზული“ მაინც. მან განაცხადა, რომ გასულ წელს უცხოეთის ვალუტის მარაგი შემცირდა 800 მილიონი დოლარით და რომ მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ეს მარაგი კიდევ შემცირდება 800 მილიონი დოლარით. ფინანსთა მინისტრის გაიარის განცხადებით, 1957 წელს ხაზინის საერთო დეფიციტი მიაღწევს 1.200 მილიარდ ფრანკს, ხოლო 1958 წელს — 1.800 მილიარდ ფრანკს.

უცხოეთის ვალუტის ეკონომიის მიზნით მთავრობამ მკვეთრად შეზღუდა იმპორტი საფრანგეთში. ისწრაფვის რა შეამციროს საბიუჯეტო დეფიციტი, მთავრობამ საფინანსო კანონპროექტები წარუდგინა ეროვნულ კრებას. ეს კანონპროექტები ითვალისწინებენ ახალი გადასახადების შემოღებას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დამატებითი შემოსავალი ხაზინაში 170 მილიარდი ფრანკის ოდენობით 1957 წელს და 320 მილიარდი ფრანკისა — 1958 წელს. ამავე დროს დიდდება ბენზინის, საოჯახო საქონლის ფასები, ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფები და სხვ. მთავრობას განზრახული აქვს აგრეთვე რამდენადმე გაადიდოს კაპიტალისტური კომპანიების გამოცხადებულ მოგებათა და ნედლეულის და მზა პროდუქციის მარაგის დაბეგვრა. მაგრამ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ მთავრობის საფინანსო კანონპროექტები თავისი ძირითადი სიმძიმით მშრომელებს დააწვება.

კამათი დაიწყო დაძაბულ ვითარებაში, რასაც თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ წინადღეს მოიწონა მთავრობის პროექტები, როგორც საფუძველი, მხოლოდ 17 ხმით 14 ხმის წინააღმდეგ (13 დეპუტატმა თავი შეიკავა). ბენზინის ფასების გადიდების პროექტი კი კომისიამ საერთოდ უარყო.

კამათის მონაწილე კომუნისტმა დეპუტატმა ლამპმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს გადაიდოს ფინანსური საკითხებზე კამათი, სანამ დაიწყებოდეს კამათი ალჟირის პრობლემაზე და სანამ მთავრობა შეიტანდეს წინადადებას იმოქმედოს შემდეგი ფორმულის მიხედვით — „გადავახდევინოთ მდიდრებს“. მაგრამ ეს რეზოლუცია უარყოფილ იქნა 425 ხმით 150 ხმის წინააღმდეგ.

კამათის მსვლელობაში გამოვიდნენ პარლამენტის მთელი რიგი ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებმაც გააკრიტიკეს კანონპროექტების სხვადასხვა მხარე.

დეპუტატებზე ზეგავლენის მოსახდენად ბურეულ-მონურომ დააყენა ნდობის საკითხი და მოითხოვა დაამტკიცონ კანონპროექტები ზოგიერთი ცვლილებით, რომლებზეც მთავრობა დათანხმდა.

ნდობის საკითხის კენჭისყრა განზრახულია 24 ივნისს.

## დაიხურა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობა

**პარიზი, 22 ივნისი.** (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობის საბოლოო სხდომაზე გამოცხადდა ცნობა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრაციული კომისიის, ბიუროს და საფინანსო კონტროლის კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევის შესახებ.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივნებად კვლავ არჩეულნი არიან ბენუა ფრაშონი და ალენ ლე ლეანი.

ყრილობის დახურვისას საბოლოო სხდომის თავმჯდომარემ ჟან ბრეტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლანდელი ყრილობის ძირითადი ამოცანა იყო გამოენახა საფრანგეთში პროფკავშირული ერთიანობის შექმნის გზა.

## გაზეთ „ლუმანიტეს“ გამოშვების კონფისკაცია

**პარიზი, 22 ივნისი.** (საკდესი). წუხელ პარიზის პოლიციის პრეფექტის მითითებით მოახდინეს გაზეთ „ლუმანიტეს“ გამოშვების კონფისკაცია. გაზეთის კონფისკაციის საბაბი ის გახდა, რომ იქ დაიბეჭდა ალჟირის კომუნისტური პარტიის მდივნის ჰაჯ ალის წერილი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზისა და საფრანგეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისა და ორგანიზაციებისადმი სოფელ მელუზაში მომხდარი ამბების გამო.

გაზეთის გამოშვების კონფისკაციასთან დაკავშირებით გამოვიდა „ლუმანიტეს“ სპეციალური ნომერი, სადაც დაიბეჭდა ანდრე სტილის მოწინავე სტატია სათაურით: „ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს!“. სტატიაში ნათქვამია, რომ გაზეთ „ლუმანიტეს“ გამოშვების კონფისკაცია, რომელიც მუდმივ და აქტიურ ბრძოლას ეწევა მშვიდობისათვის ალჟირში, „მოქალაქეთა თავისუფლების ხელყოფაა“.

## ჰეიზსკელმა მხარი დაუჭირა აზომგულის გამოცდის დროებით შეწყვეტის შესახებ საბჭოთა წინადადების მიღებას

**ლონდონი, 22 ივნისი.** (საკდესი). როგორც პრეს ასოციაციაზნის საგენტო იუწყება, დღეს მანსფილდში (ნოტინჰემშირი) სიტყვა წარმოთქვა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჰეიტსკელმა. მან მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებებს იმის შესახებ, რომ ორი-სამი წლით შეწყდეს ატომგულის გამოცდა და დაწესდეს შესაბამისი საერთაშორისო კონტროლი. ჩვენ უნდა ვთქვათ, განაცხადა მან, რომ „დავდებთ ამ შეთანხმებას გამოცდის შესახებ და არ დაველოდებით, სანამ არ დაიდება შეთანხმება ყოველივე დანარჩენის შესახებ. მოდით მივიღოთ ეს წინადადება!“.

## საფრანგეთი — ალჟირი

### ბურეულ-მონურის მთავრობა

**ალჟირი, 22 ივნისი.** (საკდესი). ალჟირის ეროვნული ეროვნული კრების ალჟირელ დეპუტატთა ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერ ფერჰატ აბასის ინტერვიუ ეროვნული ეროვნული ალჟირელ ეროვნული ალჟირელ ეროვნული ალჟირელ